სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 18

2019 წლის 26 თებერვალი

ქ. თბილისი

**2019 წლის საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 9 ივნისის N57/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N224774, 25.02.2019) შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს 2019 წლის საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის (შემდგომში კონკურსი) პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დამტკიცდეს კონკურსის კრებსითი ინფორმაციის ფორმა პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსის ზოგადი ინფორმაციის ფორმა პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N3-ს შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ს შესაბამისად;
5. დამტკიცდეს კონკურსის პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ს შესაბამისად;
6. დამტკიცდეს კონკურსის პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს კონკურსის ბიოგრაფიული მონაცემების ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;

8. დამტკიცდეს კონკურსის უცხოელი მეცნიერის თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს კონკურსის თანადაფინანსების წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
10. დამტკიცდეს კონკურსის განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
11. დამტკიცდეს პროექტების საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;
12. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
13. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

**ზვიად გაბისონია**

დანართი №1

დამტკიცებულია

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო

ფონდის გენერალური დირექტორის

2019 წლის 26 თებერვლის № 18 ბრძანებით

## 2019 წლის საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის პირობები

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) მიზანია, ხელი შეუწყოს:

   ა) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მაღალი რანგის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმებისა და სიმპოზიუმების ჩატარებას ფართო საზოგადოების ჩართულობით, საქართველოს შემსწავლელი კვლევების პოპულარიზაციასა და საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე წარდგენას;

   ბ) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებების განვითარებასა და საერთაშორისო სტანდარტებით განხორციელებული კვლევების შედეგების გავრცელებას (დისემინაციას);

   გ) სხვადასხვა თაობისა და სხვადასხვა კვლევითი ცენტრების მკვლევართა შორის გამოცდილების გაზიარებას;

   დ) საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისებას;

   ე) საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას.

2. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები მოიცავს ქართველოლოგიასა და კვლევებს საქართველოს შესახებ მეცნიერების ნებისმიერი მიმართულებით.

3. 2019 წლის კონკურსზე უპირატესობა მიენიჭება ინტერდისციპლინურ პროექტებს.

4. პროექტების წარმოდგენა შესაძლებელია ქართველოლოგიისა და საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების ნებისმიერი მიმართულებიდან.

5. კონკურსის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის №57/ნ ბრძანებით დადგენილი წესით.

### მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პროექტის ხელმძღვანელს, კოორდინატორსა და თანახელმძღვანელს (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში), წამყვან და თანამონაწილე (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებთან ერთად.

2. **ინტერინსტიტუციური** პროექტი გულისხმობს ერთი ან რამდენიმე იურიდიული პირის ჩართულობას. ერთ-ერთი მონაწილე იურდიული პირი ითვლება წამყვან ორგანიზაციად, ხოლო დანარჩენი - თანამონაწილედ. პროექტის ხელმძღვანელი უნდა მოღვაწეობდეს წამყვან ორგანიზაციაში, ხოლო თანახელმძღვანელი - თანამონაწილე ორგანიზაციაში.

3. **ინტრაინსტიტუციური** პროექტი გულისხმობს ერთი იურიდიული პირის რამდენიმე სტრუქტურული ერთეულის ერთობლივად მონაწილეობას. ინტრაინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში პროექტს არ ჰყავს თანახელმძღვანელი.

4. პროექტს შესაძლებელია ჰყავდეს **წამყვანი ორგანიზაცია** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) ან საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ), რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების ან/და სხვა სამეცნიერო საქმიანობის განხორცილება, ან საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ). წამყვანი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით; აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით; ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე.

5. პროექტს შეიძლება ჰყავდეს **თანამონაწილე ორგანიზაცია** (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში) -

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ), რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების ან/და სხვა სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ). თანამონაწილე ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით; აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით; ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე.

6. თანამონაწილე ორგანიზაცია შეიძლება იყოს საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც მონაწილეობს პროექტის გარკვეული ამოცანების შესრულებაში. საზღვარგარეთ რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაცია და მისი წარმომადგენელი თანახელმძღვანელი, რომელიც არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, ვერ იქნებიან გრანტის მიმღები; მათი ხარჯების ანაზღაურება შესაძლებელია განხორციელდეს თანადაფინანსებიდან.

7. პროექტში ჩართული ფიზიკური პირები ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ამოცანებს **ძირითადი პერსონალის/დამხმარე პერსონალის** სტატუსით.

   ა) პროექტის ძირითადი პერსონალი: პროექტის ხელმძღვანელი, კოორდინატორი, თანახელმძღვანელი (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში), კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრები, კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები.

   ბ) პროექტის დამხმარე პერსონალი: ტექნიკური საკითხების მოგვარებაში ჩართული პირები.

8. **პროექტის ხელმძღვანელი** უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, მაგისტრის/დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არის ადმინისტრაციული, აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი წამყვანი ორგანიზაციიდან; იგი ხელმძღვანელობს პროექტის მომზადებას, განხორციელებასა და პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებას; პასუხისმგებელია ფონდის მიერ დამტკიცებული წესებისა და ფორმების შესაბამისად პროექტის განხორციელების შესახებ ანგარიშგებაზე და პროექტის შედეგებზე.

9. **პროექტის კოორდინატორი** უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც ეხმარება პროექტის ხელმძღვანელს პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში, პასუხისმგებელია საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმეებზე.

10. **პროექტის თანახელმძღვანელი** შეიძლება იყოს საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე, მაგისტრის/დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არის ადმინისტრაციული, აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი თანამონაწილე ორგანიზაციიდან; პროექტის ხელმძღვანელთან შეთანხმებით თანახელმძღვანელი მონაწილეობს პროექტის მომზადებასა და განხორციელებაში, პასუხისმგებელია გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად პროექტის განხორციელების შესახებ ანგარიშგებაზე. პროექტის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს გრანტის მიმღები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არის საქართველოს მოქალაქე.

11. პროექტს უნდა ჰყავდეს სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტები.

   **ა) კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის** წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე, დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე, აკადემიური ან/და სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი. სამეცნიერო კომიტეტი დაკომპლექტებული უნდა იყოს კონფერენციის თემატიკის შესაბამის სამეცნიერო მიმართულებაში მოღვაწე მეცნიერებითა და მკვლევრებით. კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტი პასუხისმგებელია პროექტით გათვალისწინებული ღონისძიების სამეცნიერო შინაარსზე.

   **ბ) კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის** წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი მონაწილეობს კონფერენციის ორგანიზებაში.

12. პროექტის ხელმძღვანელსა და თანახელმძღვანელს შეუძლია კონკურსზე დაარეგისტრიროს მხოლოდ ერთი პროექტი.

13. უცხო ქვეყნის მოქალაქე შესაძლებელია ჩართული იყოს პროექტში როგორც თანახელმძღვანელი, კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრი, მაგრამ ვერ იქნება გრანტის მიმღები.

**მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები**

1. საკონკურსო განაცხადით (შემდგომში - პროექტით) გათვალისწინებული კონფერენცია შესაძლებელია ჩატარდეს 2019 წლის 1 ივლისიდან 2020 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში.

2. პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 40 000 ლარს.

3. ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება შეიძლება ითვალისწინებდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:

ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;

ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება; **ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 35%-ს.**

გ) სამივლინებო ხარჯი;

დ) კონფერენციის ორგანიზებისათვის საჭირო საქონელი და მომსახურების ხარჯები, მათ შორის წარმომადგენლობითი ხარჯები; ამავე კატეგორიაში შეიძლება მოთხოვნილ იქნას კონფერენციის მონაწილე მოწვეულ უცხოელ მეცნიერთა/მომხსენებელთა, სამეცნიერო კომიტეტის უცხოელ წევრთა მგზავრობის, საქართველოში სასტუმროს დაქირავებისა და ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირების ხარჯები. ამავე პუნქტიდან დაფინანსდება ღონისძიების მონაწილეთა მგზავრობისა და სასტუმროში განთავსების ხარჯები;

ე) კონფერენციის ორგანიზებისათვის საჭირო ძირითადი აქტივების ხარჯები;

ვ) ზედნადები ხარჯი - წამყვანი და თანამონაწილე (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციის) მიერ გასაწევი არაპირდაპირი ხარჯები პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 7%-ს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ხარჯვითი კატეგორიები განიმარტება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული კლასიფიკატორით (დანართი 11).

5. გრანტის სახსრებით დაუშვებელია: უძრავი ქონების შეძენა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია, სატრანსპორტო საშუალებების და კომპიუტერის შეძენა.

6. გრანტი არ აფინანსებს კონფერენციის იმ მონაწილეთა საერთაშორისო მგზავრობის ხარჯებს, რომელთა მოხსენება არ არის ჩართული კონფერენციის პროგრამაში.

7. პროექტს შესაძლებელია ჰქონდეს **თანადაფინანსება** (დამატებითი ფინანსური წყარო), რომელიც ნაწილობრივ დაფარავს პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების ნაწილს.

8. თანადამფინანსებელი შეიძლება იყოს საქართველოში ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირი, რომელიც აფინანსებს პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯების ნაწილს.

9. პროექტით გათვალისწინებული ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო ხარჯებისათვის შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას საკონფერენციო გადასახადი.

10. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ იურიდიულ პირ(ებ)ს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაცია**

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი და წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) **კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ** (ნიმუში - დანართი 2, ივსება GMUS-ში ქართულ და ინგლისურ ენაზე);

ბ) **პროექტის აბსტრაქტი** (დანართი 3, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით ქართულ და ინგლისურ ენაზე);

გ) **საპროექტო წინადადება** (დანართი 4, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით ქართულ და ინგლისურ ენაზე);

დ) **პროექტის განხორციელების გეგმა- გრაფიკი** (ნიმუში - დანართი 5, ივსება GMUS-ში ქართულ და ინგლისურ ენაზე);

ე) **პროექტის განხორციელების ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება** (ნიმუში - დანართი 6, ივსება GMUSში ქართულ და ინგლისურ ენაზე);

ვ) **პროექტის ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიები (CV)** -

1. პროექტის ხელმძღვანელის, კოორდინატორის, ასევე საქართველოს მოქალაქე თანახელმძღვანელის, სამეცნიერო კომიტეტისა და საორგანიზაციო კომიტეტის წევრების CV ივსება GMUS-ში „მეცნიერის პროფილის" რეგისტრაციის დროს. სავალდებულოა, „მეცნიერის პროფილი" შევსებული იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე, ძირითადი პერსონალის „მეცნიერის პროფილიდან" CV-ები დაგენერირდება ბაზაში, ექსპორტირდება და PDF დოკუმენტის სახით იტვირთება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციისას

ხელმძღვანელის მიერ. (ნიმუში - დანართი 7, ივსება და იტვირთება GMUS-ში);

2. უცხო ქვეყნის მოქალაქე თანახელმძღვანელისა და სამეცნიერო კომიტეტის წევრების CV-ები ინგლისურ ენაზე და მათი ქართული თარგმანი იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით პროექტის ხელმძღვანელის მიერ.

ზ) **პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული საქართველოს მოქალაქეების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები** (დიპლომი, სერტიფიკატი. დოქტორანტის/მაგისტრანტის შემთხვევაში ცნობა სწავლის შესახებ შესაბამისი ორგანიზაციიდან); თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არსჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება (დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში", განათლების ველში PDF დოკუმენტის სახით);

თ) **პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული საქართველოს მოქალქეების** კონკურსის გამოცხადების პერიოდში გაცემული **ცნობა სამსახურიდან.** ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის შემთხვევაში ცნობიდან უნდა დასტურდებოდეს, რომ მათ უკავიათ ადმინისტრაციული, აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა ხელმძღვანელის შემთხვევაში წამყვან, ხოლო თანახელმძღვანელის შემთხვევაში თანამონაწილე ორგანიზაციაში. სამეცნიერო კომიტეტის წევრების ცნობიდან უნდა დასტურდებოდეს, რომ მათ უკავიათ აკადემიური ან/და სამეცნიერო თანამდებობა. (ცნობა იტვირთება GMUS-ში შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში" მიმდინარე სამუშაო ადგილების ველში PDF დოკუმენტის სახით ქართულ ენაზე);

ი) **პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული უცხო ქვეყნის მოქალაქეების** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **თანხმობის წერილი (Letter of Commitment)** პროექტში მონაწილეობის შესახებ, თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე და მას თან უნდა ერთვოდეს თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული ქართული თარგმანი. (დანართი 8, იტვირთება PDF დოკუმენტის სახით GMUS-ში პროექტის რეგისტრაციისას);

კ) **პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული უცხო ქვეყნის მოქალაქეების** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში გაცემული **ცნობა სამსახურიდან,** საიდანაც დასტურდება ცნობის მიმღების **აკადემიური ხარისხი და დაკავებული პოზიცია** (იხილეთ პირობების მუხლი 2, პუნქტი 10 და 11ა) ცნობა, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით, წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის სატიტულო ფურცელზე. მას თან უნდა ერთვოდეს თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული ქართული თარგმანი (იტვირთება PDF დოკუმენტის სახით GMUS-ში პროექტის რეგისტრაციისას);

ლ) **პროექტის წამყვანი, ასევე საქართველოში რეგისტრირებული თანამონაწილე** (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში) **და თანადამფინანსებელი იურიდიული პირის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი** (წესდება/დებულება). ა(ა)იპ-ისა და უსდ-ს შემთხვევაში ასევე საჭიროა 2019 წელს გაცემული ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბიზნესის რეესტრიდან. საზღვარგარეთ რეგისტრირებული ან საერთაშორისო ორგანიზაციის შემთხვევაში სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა არ არის სავალდებულო. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი „ორგანიზაციის პროფილში" PDF დოკუმენტის სახით.

მ) **საზღვარგარეთ რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროექტში თანამონაწილეობის **თანხმობის წერილი (Letter of Support).** თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე, ორგანიზაციის სატიტულო ფურცელზე დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მას თან უნდა ერთვოდეს თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული ქართული თარგმანი (იტვირთება PDF დოკუმენტის სახით GMUS - ში პროექტის რეგისტრაციისას);

ნ) **ცნობა თანადაფინანსების შესახებ** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი თანხის მითითებით, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უცხოური ორგანიზაციის ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირის შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე და მას თან უნდა ერთვოდეს თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული ქართული თარგმანი (დანართი 9, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით პროექტის რეგისტრაციისას);

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი **„განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“** (ნიმუში - დანართი 10, გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

3. **კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში** გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წამყვანი და თანამონაწილე (ინტერსინტიტუციური პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი,რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.

4. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

**მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი**

1. კონკურსში პროექტის რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი – 2019 წლის 6 მარტიდან - 4 აპრილის 16:00 საათამდე;

ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი – 2019 წლის 5 აპრილის 16:00 საათამდე

2. **ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი** გულისხმობს პროექტის დოკუმენტების ატვირთვას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS-ში) შემდეგ ბმულზე: http://gmus.rustaveli.org.ge. ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:

ა) **პროექტის წამყვანი, ასევე საქართველოში რეგისტრირებული თანამონაწილე და თანადამფინანსებელი იურიდიული პირების** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრაცია GMUS-ში – „ორგანიზაციის პროფილის“ შექმნა და კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა.

ბ) პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირების, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქე თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრაცია GMUS-ში – „მეცნიერის პროფილის“ შექმნა და შესაბამისი დოკუმენტაციის ატვირთვა. (იხ. კონკურსის პირობების მე-4 მუხლი).

გ) პროექტის რეგისტრაცია საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერეციების საგრანტო კონკურსზე, კრებსითი ინფორმაციის შევსება და საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვა (იხ. კონკურსის პირობების მე-4 მუხლი).

3. **ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი** გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი აქვს შესაბამისი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ.“

**მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება**

1. კონკურსის განრიგი და ვადები:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) ჯგუფური კონსულტაციები;

გ) შეკითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა;

დ) რეგისტრირებული პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ე) შუალედური შედეგების გამოქვეყნება - ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი

პროექტების მოხსნის შესახებ;

ვ) კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ;

ზ) კონკურსის პირობების დაცვით რეგისტრირებული პროექტების შეფასება და გამარჯვებულთა გამოვლენა და ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცება;

თ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;

ი) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

2. კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას.

3. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, რომელიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, წარმოდგენილია არასრულად ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

### მუხლი 6. პროექტების შეფასება

1. საკონკურსო პროექტის წარდგენისას პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელს შეუძლია მიუთითოს მაქსიმუმ 3 ქართველი ან უცხოელი არასასურველი ექსპერტ(ებ)ი, რომელთაც წარმოდგენილი პროექტი შესაფასებლად არ გაეგზავნება.

2. საკონკურსო კომისიას (შემდგომში - კომისია) ქმნის, კომისიის სხდომას იწვევს და კომისიის მუშაობის წესს განსაზღვრავს გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით; მუშაობისას კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის №57/ნ ბრძანებით დადგენილი წესით.

2. კომისია განიხილავს კონკურსზე წარმოდგენილ პროექტებს, აფასებს მათ განსაზღვრული პრიორიტეტებისა და საკონკურსო კრიტერიუმების შესაბამისად, ადგენს რანჟირებულ სიას, გამოავლენს საუკეთესო პროექტ(ებ)ს და დასამტკიცებლად წარუდგენს ფონდის გენერალურ დირექტორს.

3. ფონდის თანამშრომელი შესაძლებელია იყოს საკონკურსო კომისიის წევრი ხმის უფლების გარეშე.

4. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ექსპერტი.

5. მოწვეულ ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია.

6. დაუშვებელია საკონკურსო კომისიის წევრი იყოს პირი, რომელსაც აქვს ინტერესთა კონფლიქტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის №57/ნ ბრძანებით დადგენილი წესის მე-10 მუხლის შესაბამისად.

7. კომისიის წევრი ვალდებულია, კომისიას და გენერალურ დირექტორის ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლის მე-7 პუნქტში დასახელებული გარემოებისა და თვით აცლების შესახებ.

8. თუ ინტერესთა კონფლიქტის ფაქტი ფონდისათვის ცნობილი გახდება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს საკონკურსო კომისიის წევრის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმების შესახებ.

9. დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა შეფასების მაქსიმალური **50** ქულიდან **36** ან მეტი ქულის მიღება.

### მუხლი 7. საგრანტო ხელშეკრულება

1. ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას გამარჯვებული პროექტ(ებ)ის წარმდგენ წამყვან ორგანიზაციასთან, საქართველოში რეგისტრირებულ თანამონაწილე ორგანიზაციასთან (ინტერინსტიტუციონალური პროექტის შემთხვევაში), პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, კოორდინატორთან და თანახელმძღვანელთან (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში); საგრანტო ხელშეკრულებაში გაიწერება მხარეთა ურთიერთვალდებულების დეტალური პირობები.

2. ფონდი უფლებამოსილია საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე გამარჯვებული პროექტ(ებ)ის წარმდგენ წამყვან ორგანიზაციასთან, საქართველოში რეგისტრირებულ თანამონაწილე ორგანიზაციასთან (ინტერინსტიტუციონალური პროექტის შემთხვევაში), პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, კოორდინატორთან და თანახელმძღვანელთან (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში) შეთანხმებით განახორციელოს გამარჯვებული პროექტ(ებ)ის ბიუჯეტის და/ან გეგმა-გრაფიკის ცვლილება.

3. საგრანტო ხელშეკრულებით განისაზღვრება გრანტის მიმღები ორგანიზაცი(ებ)ის მიერ პროექტისათვის გახსნილი მიზნობრივი ანგარიშ(ებ)ი, რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი და მოხდება გრანტის სახსრების ჩარიცხვა.

4. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ გრანტის მიმღები ორგანიზაციის შესაბამის ანგარიშზე ფონდის მიერ ავანსად გადაირიცხება პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრული საგრანტო დაფინანსების ნაწილი. კერძოდ, მოხდება პროექტის ძირითადი პერსონალის შრომის ანაზღაურების 25%-ის დაკავება.

5. საბოლოო ანგარიშსწორება (პროექტის ძირითადი პერსონალის შრომის ანაზღაურების 25%-ის გადარიცხვა) განხორციელდება ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმით წარმოდგენილი ფინანსური და პროგრამული ანგარიშების განხილვის აქტის საფუძველზე.

### მუხლი 9. ანგარიშგება და მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია პროექტის დასრულებიდან 1 თვის ვადაში ფონდს წარუდგინოს ანგარიში პროექტის ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესახებ.

2. ანგარიშგება გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ პროგრამული და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენას ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ანგარიშის ფორმების შესაბამისად.

3. ფონდი საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად აწარმოებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს:

ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბიუჯეტთან/ხარჯთაღრიცხვასთან;

ბ) პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას.

4. მონიტორინგის განხორციელებისას ფონდი ეყრდნობა გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.

5. ფონდი უფლებამოსილია პროექტის მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდგომ შინაარსობრივად შეაფასოს პროექტი მოწვეული დარგის ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობით.

6. გრანტის მიმღებმა პროექტის განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:

ა) მიზნობრივი ხარჯი - მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიიდან განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას. ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის შიგნით, ქვეკატეგორიებს შორის თანხების გადანაწილების ცვლილება არ საჭიროებს ფონდთან შეთანხმებას, თუ აღნიშნული ცვლილება არ ითვალისწინებს:

- ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის მთლიანი ოდენობის გაზრდას,
- არ გულისხმობს ახალი ქვეკატეგორიის დამატებას და
- არ ეხება პროექტში ჩართული ძირითადი პერსონალის შრომის ანაზღაურებას;

ბ) არამიზნობრივი ხარჯი - არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) ნაშთი - ნაშთად ჩაითვლება პროექტის დასრულებისათვის დარჩენილი გაუხარჯავი რესურსი.

7. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ პროექტის ფარგლებში ავანსად გადარიცხულ ტრანშზე პროექტის დახურვის მომენტში, წარმოდგენილია ფინანსური და პროგრამული ანგარიშები, ფონდის მიერ წარმოდგეილ ანგარიშებზე დაწერილია შესაბამისი განხილვის აქტები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

### მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის 57/ნ ბრძანების მე-13 მუხლში განსაზღვრული წესითა და საგრანტო ხელშეკრულებით.

### მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გამარჯვებული პროექტების მიმართ

1. გრანტის მიმღები ვალდებულია შექმნას და ადმინისტრირება გაუწიოს პროექტის ვებგვერდს, ვებგვერდზე

განათავსოს ინფორმაცია ღონისძიების შესახებ. ვებ გვერდზე უნდა განთავსდეს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია - კონფერენციის ჩატარების ანონსი (ჩატარების თარიღი, რეგისტრაციის ვადები და ა.შ) და კონფერენციის ჩატარების ამსახველი მასალები.

2. პროექტის დასრულების შემდგომ, სავალდებულოა ღონისძიების ვებგვერდზე ელექტრონული მასალის სახით აიტვირთოს აბსტრაქტებისა და მოხსენებების კრებული ინგლისურ ენაზე.

3) ღონისძიების ვებგვერდზე და პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ მასალაზე (ნაბეჭდი, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონული პროდუქცია) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ „პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]" / „The project was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]".

4) ფონდის თანამშრომლები უფლებამოსილნი არიან, დაესწრონ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ნებისმიერ სექციას, გამოსვლას, ლექციას, გახსნის ან დახურვის ცერემონიას და ა.შ.

5) ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროგრამული ანგარიშები, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები და ვებგვერდის მისამართი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდზე.

დანართი 2

დამტკიცებულია

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო

ფონდის გენერალური დირექტორის

2019 წლის 26 თებერვლის № 18 ბრძანებით

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System)
პროექტის რეგისტრაციის დროს

## საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსი

## კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ

I გვერდი

ზოგადი ინფორმაცია
General information

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | პროექტის სახელწოდება ქართულად | | | | |
| | Project title in English | | | | |
| 2 | კონფერენციის ჩატარების ადგილი (ქალაქი) | | | | |
| | Conference venue (city) | | | | |
| 3 | კონფერენციის ხანგრძლივობა | კონფერენციის დაწყების თარიღი: | | კონფერენციის დასრულების თარიღი: | |
| | Conference duration | Conference start date: | | Conference end date: | |
| 4 | პროექტის ხანგრძლივობა | ღონისძიების დაწყების თარიღი: | | ღონისძიების დასრულების თარიღი: | |
| | Project duration | Project start date: | | Project end date: | |
| 5 | ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი) | | | | |
| | Requested funding from the SRNSFG (GEL) | | | | |
| 6 | თანადაფინანსების თანხა | | | | |
| | Co-funding (GEL) | | | | |
| 7 | პროექტის მთლიანი ბიუჯეტი (ლარი) | | | | |
| | Total budget (GEL | | | | |
| 8 | წამყვანი ორგანიზაცია | | | | |
| | Host institution | | | | |
| 9 | პროექტის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი) | | | | |
| | Principal investigator (Name, Surname) | | | | |
| 10 | აკადემიური ხარისხი | | | | |
| | Academic degree | | | | |
| | ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში დამატებითი ოპცია | | | | |
| 11 | თანამონაწილე ორგანიზაცია | | | | |

| | | |
|---|---|---|
| | Co-Participant institution | |
| 12 | პროექტის თანახელმძღვანელი (სახელი, გვარი) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | |
| | Co-investigator (Name, Surname) (If applicable) | |
| 13 | აკადემიური ხარისხი | |
| | Academic degree | |

| | | |
|---|---|---|
| 14 | საპროექტო წინადადება (PDF) (ქართული) | PDF ფაილის ატვირთვა |
| | Project proposal (ENG) | PDF file upload |
| 15 | პროექტის აბსტრაქტი (GEO/ENG) | PDF ფაილის ატვირთვა |

| სამეცნიერო მიმართულებები<br>Scientific Field | | |
|---|---|---|
| 16 | მიმართულება<br>Field | |
| | ქვემიმართულება<br>Sub-field | |
| | 1 | |
| | 2 | |
| | 3 | |
| 17 | პროექტით გათვალისწინებული კვლევის საკვანძო სიტყვები (არაუმეტეს 5 ტერმინისა) | |
| | Research project key-words (no more than 5 terms) | |

## 18. არასასურველი ექსპერტი/ Excluded reviewer

ასეთის არსებობის შემთხვევაში, მიუთითეთ მაქსიმუმ 3 ექსპერტი
If applicable, indicate maximum 3 reviewer

| N | სახელი, გვარი<br>Name, surname | ინსტიტუცია<br>Affiliation | სამეცნიერო მიმართულება<br>Scientific field | ქვეყანა<br>Country |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |

## II გვერდი

## ორგანიზაცია

## Organization

| ინფორმაცია წამყვანი ორგანიზაციის შესახებ | | |
|---|---|---|
| 1 | წამყვანი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი | |
| | ID code | |
| 2 | წამყვანი ორგანიზაციის დასახელება | |
| | Host institution | |
| 3 | კვლევითი ინსტიტუცია | |
| | Research institution | |
| 4 | წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელი/რექტორი (სახელი გვარი) | |
| | Head of the host institution/Rector (name, surname) | |
| 5 | წამყვანი ორგანიზაციის ვებგვერდი | |

| | | |
|---|---|---|
| | Webpage | |
| 6 | ელ. ფოსტა | |
| | E-mail | |
| 7 | ტელეფონი | |
| | Telephone | |
| 8 | იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ) | |
| | Legal status (LEPL, NNLE, LTD-HEI) | |

| საქართველოში რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციის შესახებ ინტერინსტიტიციური პროექტის შემთხვევაში (დამატების ოპცია) | | |
|---|---|---|
| 9 | ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი | |
| | ID code | |
| 10 | ორგანიზაციის დასახელება | |
| | Co-participant institution | |
| 11 | კვლევითი ინსტიტუცია | |
| | Research institution | |
| 12 | თანამონაწილე ორგანიზაციის ხელმძღვანელი/რექტორი (სახელი, გვარი) | |
| | Head of the co-participant institution/rector (Name, surname) | |
| 13 | თანამონაწილე ორგანიზაციის ვებგვერდი | |
| | Webpage | |
| 14 | ელ.ფოსტა | |
| | email | |
| 15 | ტელეფონი | |
| | Telephone | |
| 16 | იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ) | |
| | Legal status (LEPL, NNLE, LTD-HEI) | |
| უცხოეთში რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | | |
| 17 | ორგანიზაციის დასახელება | |
| | Co-participant institution | |
| 18 | ორგანიზაციის თანხმობის წერილი | PDF ფაილის ატვირთვა |
| | Letter of commitment | PDF file upload |
| 19 | ორგანიზაციის ვებგვერდი | |
| | webpage | |

| ინფორმაცია თანადამფინანსებლის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>Information about co-funding legal/natural person (if applicable) | | |
|---|---|---|
| 20 | საიდენტიფიკაციო კოდი | |
| | ID code | |
| 21 | თანადამფინანსებელი იურიდიული პირი (სახელწოდება) | |
| | Co-funding legal person | |

| | | |
|---|---|---|
| 22 | უფლებამოსილი პირი (სახელი, გვარი) | |
| | **Authorized person** (name, surname) | |
| 23 | ელ.ფოსტა | |
| | E-mail | |
| 24 | ტელეფონი | |
| | Telephone | |
| 25 | იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ) | |
| | **Legal status** (LEPL, NNLE, LTD-HEI) | |
| 26 | თანხმობის წერილი | PDF ფაილის ატვირთვა |
| | Letter of co-funding Commitment | PDF file upload |
| 27 | თანადამფინანსებელი ფიზიკური პირი (სახელი, გვარი) | |
| | **Co-funding natural person** (name, surname) | |
| 28 | ელ. ფოსტა | |
| | E-mail | |
| 29 | ტელეფონი | |
| | Telephone | |
| 30 | თანხმობის წერილი | PDF ფაილის ატვირთვა |
| | Letter of co-funding Commitment | PDF file upload |

## III გვერდი

## ძირითადი პერსონალი
## Key Personnel

1. ინფორმაცია ძირითადი პერსონალის შესახებ

| № | პირადი ნომერი | სახელი, გვარი | აკადემიური ხარისხი | პოზიცია პროექტში | CV (pdf ფაილი) | თანხმობის წერილი pdf ფაილი) (pdf ფაილი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | პროექტის ხელმძღვანელი | | |
| 2 | | | | პროექტის თანახელმძღვანელი | | |
| 3 | | | | კოორდინატორი | | |
| 4 | | | | სამეცნიერო კომიტეტის წევრი | | |
| 5 | | | | საორგანიზაციო კომიტეტის წევრი | | |

2. Information about key personnel

| № | ID number | Name, Surname | Academic degree | Position in the project | CV (pdf file) | Letter of Personal commitment (pdf file) (if applicable) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | Principal Inverstigator | | |
| 2 | | | | Co-inverstigator | | |
| 3 | | | | Coordinator | | |
| 4 | | | | Scientific committee member | | |
| 5 | | | | Organizational committee member | | |

**შენიშვნა:** თანხმობის წერილი იტვირთება მხოლოდ უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის არსებობის შემთხვევაში, ორიგინალი და შესაბამისი ქართული თარგმანი.

3. ინფორმაცია დამხმარე პერსონალის შესახებ
Information about supporting personnel

| № | პოზიცია პროექტში<br>Position in the project |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |

| | |
|---|---|
| 4 | |
| 5 | |

IV გვერდი

## გეგმა-გრაფიკი

## Project Timeframe

ივსება GMUS-ში

Fill in GMUS

V გვერდი

## ბიუჯეტი

## Budget and Budget Justification

ივსება GMUS-ში

Fill in GMUS

დანართი 3

**დამტკიცებულია**

**სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 26 თებერვლის № 18 ბრძანებით**

## საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსი

| ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ<br>General Information About the Project | | | | |
|---|---|---|---|---|
| სახელწოდება ქართულად | | | | |
| სახელწოდება ინგლისურად | | | | |
| წამყვანი ორგანიზაცია | | | | |
| თანამონაწილე ორგანიზაცია (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში) | | | | |
| პროექტის ხელმძღვანელი | | | | |
| პროექტის თანახელმძღვანელი (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში) | | | | |
| კონფერენციის ჩატარების ადგილი (ქალაქი) | | | | |
| კონფერენციის ჩატარების პერიოდი | კონფერენციის დაწყების თარიღი: | | კონფერენციის დასრულების თარიღი: | |
| პროექტის განხორციელების პერიოდი | პროექტის დაწყების თარიღი: | | პროექტის დასრულების თარიღი: | |
| ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი) | | | | |
| თანადაფინანსება (ლარი) | | | | |
| პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი) | | | | |

### აბსტრაქტი

(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა.)

### საკვანძო სიტყვები

(5 საკვანძო სიტყვა)

## Abstract

(Recommended word count - 400)

## Key words

(no more than 5 terms)

დანართი 4
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2019 წლის 26 თებერვლის № 18 ბრძანებით

# საპროექტო წინადადება

## ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

| საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენცია | | | | |
|---|---|---|---|---|
| სახელწოდება ქართულად | | | | |
| სახელწოდება ინგლისურად | | | | |
| კონფერენციის ჩატარების ადგილი (ქალაქი) | | | | |
| კონფერენციის ხანგრძლივობა | კონფერენციის დაწყების თარიღი: | | კონფერენციის დასრულების თარიღი: | |
| პროექტის ხანგრძლივობა | პროექტის დაწყების თარიღი: | | პროექტის დასრულების თარიღი: | |
| ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი) | | | | |
| თანადაფინანსება (ლარი) | | | | |
| პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი) | | | | |

### პროექტის წამყვანი ორგანიზაცია

| | |
|---|---|
| **წამყვანი ორგანიზაცია**<br>სრული სახელწოდება | |
| **პროექტის ხელმძღვანელი**<br>სახელი, გვარი | |
| **კოორდინატორი**<br>სახელი, გვარი | |

### თანამონაწილე ორგანიზაცია (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **თანამონაწილე ორგანიზაცია**<br>სრული სახელწოდება | |
| **თანახელმძღვანელი**<br>სახელი, გვარი | |

## I. კონფერენციის სამეცნიერო კომპონენტი

### 1.1. კონფერენციის კონცეფცია - სტატუსი, ენა, მიზნები და ამოცანები, სამიზნე ჯგუფები

**განმარტება:** სიტყვების რეკომენდირებული რაოდენობა 300.

### 1.2. კონფერენციის ფორმატი - სექციები, თემები, პლენარული მომხსენებლები

**განმარტება:** სიტყვების რაოდენობა - 600 სიტყვა

**1.3. სტრატეგია - კონფერენციის ცნობადობისა და მაღალი რანგის მეცნიერების ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები (მედია გაშუქება, მარკეტინგი)**

**განმარტება:** სიტყვების რეკომენდირებული რაოდენობა - 600 სიტყვა

**1.4. ინფორმაცია ძირითადი პერსონალის როლის შესახებ (პროექტის ხელმძღვანელის, კოორდინატორის თანახელმძღვანელის (ინტერინსტიტუციური პროექტის შემთხვევაში) პროექტში, სამეცნიერო კომიტეტისა და საორგანიზაციო კომიტეტის წევრები)**

**განმარტება:** თითოეული პერსონალის გამოცდილების შესაბამისობა პროექტით გათვალისწინებულ მიზნებთან ფასდება წარმოდგენილ პროფესიულ ავტობიოგრაფიასთან ერთად. სიტყვების რეკომენდირებული რაოდენობა - 500 სიტყვა

## II. პროექტის მნიშვნელობა

**2.1. მოსალოდნელი შედეგები სამეცნიერო საზოგადოებისათვის, წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციებისათვის, სახელმწიფოსათვის და ფართო საზოგადოებისათვის**

**განმარტება:** სიტყვების რეკომენდირებული რაოდენობა - 300 სიტყვა

**2.2. საკონფერენციო მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და გავრცელების მექანიზმები**

**განმარტება:** სიტყვების რეკომენდირებული რაოდენობა - 300 სიტყვა

**2.3. ინტერ და ინტრაინსტიტუციური თანამშრომლობის ხარისხი**

**განმარტება:** აღწერეთ პროექტში ჩართული ორგანიზაციების სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობის შესაბამისობა პროექტის თემატიკასა და მიზნებთან, საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობა. სიტყვების რეკომენდირებული რაოდენობა - 300 სიტყვა

**შენიშვნა: გაითვალისწინეთ, რომ პროექტის გეგმა-გრაფიკი (დანართი 5 ), ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება (დანართი 6 ) რომლებიც ივსება GMUS-ის შესაბამის ველებში, წარმოადგენს პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს.**

# Project Proposal

## General information about the project

| Conference on Georgian Studies | | | | |
|---|---|---|---|---|
| Title in Georgian | | | | |
| Title in English | | | | |
| Conference Venue (city) | | | | |
| Conference duration | Start date: | | End date: | |
| Project duration | Start date: | | End date: | |
| Funding requested from the foundation (GEL) | | | | |
| Co-funding (GEL) | | | | |
| Total budget of the project (GEL) | | | | |

### Host Institution

| | |
|---|---|
| **Host institution**<br>Full name | |
| **Principal Investigator**<br>Name, surname | |
| **Coordinator**<br>Name, surname | |

### Co-participant Organization (in case of inter-institutional project)

| | |
|---|---|
| **Co-participant organization**<br>Full name | |
| **Co-investigator**<br>Name, surname | |

## I. Scientific Component of the Conference

### 1.1. Concept of the conference - status, language, goals and problems, target groups

**Note:** recommended word count 600.

### 1.2. Conference format - sections, topics, plenary speakers

**Note:** recommended word count 600.

### 1.3. Strategy - means for facilitating popularity of the conference and involvement of high-ranking scientists (media coverage, marketing)

**Note:** recommended word count 600.

### 1.4. Information about the role of key personnel in the project (principal investigator, coordinator, co-supervisor (in case of inter-institutional project), members of the scientific and organizational committees

**Note:** Compliance of each member's experience with the project goals is evaluated on the basis of the submitted professional auto-biography.

## II. Project Importance

### 2.1. Expected outcomes for the scientific community, host and co-participating institutions, country and broad public

**Note:** recommended word count 300.

### 2.2. Means for spreading the conefernce materials and providing access to them

**Note:** recommended word count 300

### 2.3. The degree of inter-institutional and intra-institutional collaboration

**Note:** Describe the compliance of the scientific and academic activities of the organizations involved in the project with the topic and goals of the project, international and regional collaboration.

**Note:** recommended word count 300.

დანართი 5დამტკიცებულ
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერ
ფონდის გენერალური დირექტორი
2019 წლის 26 თებერვლის № 18 ბრძანებით

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grant
Management Unified System
პროექტის რეგისტრაციის დრო

| | |
|---|---|
| პროექტის სახელწოდება | |
| პროექტის ხელმძღვანელი | |
| წამყვანი ორგანიზაცია | |
| პროექტის ხანგრძლივობა | |
| კონფერენციის ხანგრძლივობა | |

## პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი

### პროექტის ამოცანები

| N | ამოცანის დასახელება | პასუხისმგებელი პირი |
|---|---|---|
| 1 | **ამოცანა 1** | |
| | აქტივობა 1 | |
| | აქტივობა 2 | |
| | აქტივობა 3 | |
| 2 | **ამოცანა 2** | |
| | აქტივობა 1 | |
| | აქტივობა 2 | |
| | აქტივობა 3 | |
| 3 | **ამოცანა 3** | |
| | აქტივობა 1 | |
| | აქტივობა 2 | |
| | აქტივობა 3 | |
| 4 | **ამოცანა 4** | |
| | აქტივობა 1 | |
| | აქტივობა 2 | |
| | აქტივობა 3 | |
| 5 | **ამოცანა 5** | |
| | აქტივობა 1 | |
| | აქტივობა 2 | |
| | აქტივობა 3 | |

### პროექტის შედეგები

| | შედეგის ამსახველი მასალა* (deliverable) | რაოდენობა | შედეგის მოკლე აღწერა | პასუხისმგებელი პირი |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |
| 4 | | | | |
| 5 | | | | |
| 6 | | | | |
| 7 | | | | |
| 8 | | | | |
| 9 | | | | |
| 10 | | | | |

### გეგმა-გრაფიკის დასაბუთება

გეგმა-გრაფიკი ივსება GMUS-ში. PDF ფაილი შეიძლება გამოიყენოთ ნიმუშად, რომელიც არ იტვირთება GMUS-ში.

| | |
|---|---|
| Project Title | |
| Principal Investigator | |
| Host Institution | |
| Project duration | |
| Conference duration | |

**Project Timefrime**

**Project tasks and activities**

| N | Task name | Responsible person |
|---|---|---|
| 1 | **Task 1** | |
| | Activity 1 | |
| | Activity 2 | |
| | Activity 3 | |
| 2 | **Task 2** | |
| | Activity 1 | |
| | Activity 2 | |
| | Activity 3 | |
| 3 | **Task 3** | |
| | Activity 1 | |
| | Activity 2 | |
| | Activity 3 | |
| 4 | **Task 4** | |
| | Activity 1 | |
| | Activity 2 | |
| | Activity 3 | |
| 5 | **Task 5** | |
| | Activity 1 | |
| | Activity 2 | |
| | Activity 3 | |

**Project Deliverables**

| | Deliverable | Unit | Brief description of the deliverable | Person in charge |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |
| 4 | | | | |
| 5 | | | | |
| 6 | | | | |
| 7 | | | | |
| 8 | | | | |
| 9 | | | | |
| 10 | | | | |

**Timeframe justification**

**Final project timefrime must be filled in GMUS. The PDF file as a draft can be applied for planning and preparatory phase. PDF file must not be uploaded in GMUS**

დანართი 6
ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System)
პროექტის რეგისტრაციის დროს

